

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Georgian Academy of Sciences  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

# საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

## XXVI

# Linguistic P a p e r s



თბილისი 2007 Tbilisi

81.2  
800  
ს 157

### „საენათმეცნიერო ძიებანი“

XXVI წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

“Linguistic Papers“ volume 26 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეჯია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, M. Beridze, G. Burchuladze,  
**გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), K. Gabunia, **G. Gogolashvili** (edi-  
**ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), N. Daraselia, **L. Goksadze** (editor of  
(სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, **Ts. Kvantaliani** (scientific secre-  
მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (deputy editor-in-chief), M. Kikonishvili, M. Kobiashvili,  
(მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ტ. ქირია, რ. ქურდაძე, მ. ქურდიანი, R. Landia, **N. Loladze** (deputy edi-  
ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე R. Kurdadze, M. Kurdiani N. Chum-  
buridze, N. Jorbenadze

**ჩიქობავა, 1942** — არნ. სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: თსუ შრომები, ტ. XXIII, თბ., 1942.

**ციკოლია, 1954** — მ. ციკოლია, მეგრულის ზუგდიდურ-სამურ-ზაყანული კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა: აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1954.

**ჯორბენაძე, 1998** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბ., 1998.

**ო. ყიფშიძე, 1994** — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.Пб., 1914: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

**ა. ცაგარელი** — А. Цагарели, Мингрельские этюды, Опыт фонетики мингрельского языка, С-Пб., 1888.

## EKA DADIANI

### Towards the Distribution of the Sound ə in Megrelian

#### Summary

The vowel ə is systematically encountered in the Zugdidi-Samurzaqano and Martvili variants of the Megrelian dialect, while in the rest of the Megrelian accents it is more sporadic.

The vowel ə is of secondary nature: it is the result of the reduction and narrowing of **i** and **u**. Unlike other dialects in Megrelian the processes **i** > ə and **u** > ə should be differentiated; **i** > ə is encountered in stems, whereas **u** > ə occurs in affixes, in stems **u** remains unchanged. Positionally neither **i** > ə nor **u** > ə is testified: in initial positions, in the neighbourhood of vowels, after labialized consonants, or in words containing labialized consonant clusters.

## ენო ღარასელი

### შორისდებული როგორც სამეტყველო აქტი

შორისდებულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისკურსული ფუნქცია — გამონათქვამის ფუნქციაა. შორისდებულით გამოხატული გამონათქვამი ენის ყველაზე ლაკონური გამონათქვამია. მას გარკვეული პროპოზიციული შინაარსი მიეწერება; მიეწერება ვინაიდან შორისდებული-გამონათქვამი არ შეიცავს კანონიკური წინადადებისთვის მახასიათებელ რეფერენციულ და პრედიკაციულ ელემენტებს (რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდება წინადადების სტრუქტურის მქონე ან ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმებიდან ნაწარმოებ მეორად შორისდებულებზე). შორისდებულის დეკომპოზიციისას ვლინდება ბაზისური დეიქტური ელემენტები, სემანტიკური საწყისები „მე, შენ, ახლა, აქ, ეს“. შორისდებულით გამოხატული გამონათქვამის რეფერენციული არგუმენტები კონტექსტში უნდა ვეძიოთ. ცალკეული შორისდებული, როგორც იმპულსური ვერბალური ქცევის ნიმუში, მჭიდროდ ასოცირდება გარკვეულ პროპოზიციულ სტრუქტურასთან და ასევე გარკვეული ტიპის სამეტყველო ხდომილებასთან. ეს უკანასკნელი ენის მატარებლის გრძელვადიან მეხსიერებაში ფრეიმის ტიპის სიღრმისეული სტრუქტურის სახით არის წარმოდგენილი. ვინაიდან შორისდებულთა უმეტესობა პოლისემანტური ხასიათისაა, ცალკეული შორისდებული შეიძლება ამყარებდეს მიმართებას რამდენიმე პროპოზიციასთან და შესაბამისად რამდენიმე სტერეოტიპულ სამეტყველო სიტუაციასთან. კონტექსტთან მჭიდრო კავშირის გამო (რაც მისი ინდექსური ბუნებით აიხსნება) შორისდებული განსაკუთრებით „მგრძნობიარეა“ კონტექსტუალური შეზღუდვების მიმართ (ადრესანტი, ადრესანტი, არხი, შეტყობინების ფორმა, კოდი და სხვ.) ანუ კონვენციონალურობის ხარისხი შორისდებულის შემთხვევაში მაღალია.

შორისდებული როგორც გამონათქვამი გარკვეული ილოკუციური ძალის მატარებელია, და გარკვეულ პერლოკუციურ ეფექტზეა გათვლილი. ინტერესს იწვევს შორისდებულის სამეტყველო აქტთა თეორიის თვალსაზრისით განხილვა. შორისდებულით განხორციელებული

სამეტყველო აქტი იმპლიციტურ პერფორმატივად შეიძლება განვიხილოთ. ილოკაციური ძალის მარჩვენებელ საშუალებებს გარდა ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური კონტექსტისა პარალინგვისტური საშუალებანი — ინტონაცია, ხმის ინტენსივობა, ყესტ-მიმიკა წარმოადგენს.

გამონათქვამის ფუნქციის მქონე ინგლისური, ქართული და რუსული შორისდებულების სამეტყველო აქტთა თეორიის თვალსაზრისით ანალიზმა ცხადყო, რომ შორისდებულებით გამოხატული გამონათქვამი შეიძლება ყველა ტიპის სამეტყველო აქტს წარმოადგენდეს.

შორისდებულებით გამოხატული გამონათქვამი შეიძლება წარმოადგენდეს **რეპრეზენტაცივს**, ანუ შორისდებულის წარმოქმნით ინდივიდმა შეიძლება გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პროპოზიციის ასახული ფაქტობრივი ინფორმაციის მიმართ:

ა. მან შეიძლება ირწმუნოს იგი, მისთვის მისაღებია სხვისი დამოკიდებულება პროპოზიციის ასახული ჭეშმარიტების მიმართ (სამეტყველო აქტის ზმნა — accept)

- ა1. - Then how about meat Mrs. Maloney?  
- No. I've got meat, thanks I got a leg of lamb from the freezer  
- Oh.

R. Dahl "Lamb to Slaughter" 1977 : 29

- ა2. — ეს ჩვენი მისაღები ოთხია. აქ კი... აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება, აქ კი საძილე ოთახებია...  
— აჰა...

- ა3. - **Мать моя духовная завещала: в любой беде помолиться только надо... приняла вдруг горячо убеждать она Демида**  
- Хорошо будем молиться, истово, всю ночь. А может и весь завтрашний день.  
- Ага...

А. Иванов «Тени исчезают в полдень» 1974 : 444

- ბ. შორისდებულის მეშვეობით ინდივიდმა შეიძლება დაადასტუროს მიწოდებული ინფორმაცია (სამეტყველო აქტის ზმნა ცონფირმ)

- ბ1. - You know that strange guy we saw yesterday?  
- Uh-huh

- ბ2. სტუდენტი: ბგერათცვლილების ანალიზისას მიმართავენ ორ კრიტიკულ ლექტორი: მპ, აჰა უმს — პირველი, ბგერათცვლილებას განიხილავენ პოზიციური განპირობებუ-

ლობის თვალსაზრისით — მიმართება დამოუკიდებელი vs დამოკიდებული და ლექტორი: აჰა, სწორია მეორე კრიტიკიუმი მიმართება — თვი-სობრივი — ოდენობრივი

- ბ3. - Мишель - это бармен, - вклинулась я с вопросом,  
- Угу - кивнул Стас.

М. Серова «Бриллиантовый дождь» 2003 : 28, 54, 59

- გ) შორისდებულის მეშვეობით ვეთანხმებით (agree) გამონათქვამის პროპოზიციის ასახულ ინფორმაციას:

- გ1. A: She's so sweet!

B: Uh-huh.

- გ2. ა: ყველაფერი მასზეა — სახლი, ბავშვები, ბაზარი, კიდევ კარგად არის ეგ საწყალი!

ბ: აბა, აბა, აბა...

- გ3. - Никак не можешь уговориться да?

- Не говори!

შეიძლება ითქვას, რომ თანადროულად დადასტურების და თანხმობის გამომხატველია შორისდებულის **amen / ამინ / ამენ / аминь**. ინგლისურში ვხვდებით შორისდებულურ ფრაზას — **Amen to that!**, რომელსაც თანხმობის გამოსახატავად მიმართავენ

A: "Thank goodness we didn't go"

B: Amen (to that!)

დ) შორისდებულებით გამოხატული გამონათქვამი ეჭვქვეშ აყენებს წინარე გამონათქვამის პროპოზიციის ასახული ინფორმაციის ჭეშმარიტებას (doubt)

- დ1. A: Anyway we're just good friends

B: Yeah. yeah! შორისდებულური ფრაზა **yeah, yeah** ნიშნავს — მე შენი არ მჯერა! **Yeah. yeah!** არის ემოციურად შეფერილი, ანუ იგი არის რეპრეზენტაციის და ექსპრესივის ნაერთი.

- დ2. — სოფო შენა გგავს, მაია!

— ჰმ... ვითომ?

- დ3. — Я найду этого Семена Хотова. Гм...

М. Булгаков «Звездная сыпь» 1988 : 25

დ3.-ში ინდივიდს თავად ეპარება ეჭვი თავის გამონათქვამში.

ეჭვის გამომხატველი რეპრეზენტაციის და ექსპრესივის ნაერ-

თია: ინგლისური — go on (with you), ქართული: მიდი! / წადი!

ე. შორისდებულთ გამოხატულმა გამონათქვამმა შეიძლება უარყოს წინარე გამონათქვამში წარმოდგენილი პროპოზიცია:

ე1. — დღეს იმუშავე?

— ნწ

ე2. Скажика, Варвара, чего ты пугаешься меня? спросил он ее однажды, загораживая дорогу.

- Вот еще! - опустила она голову.

А. Иванов «Тени исчезают в полдень» 1974 : 94

მაგალითი ე2 რებრეზენტაციის და ექსპრესივის ნაერთია.

რებრეზენტაციისა და ექსპრესივის ჰიბრიდია ასევე წინარე გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსის უარმყოფელი **УВЫ** შემდეგ მაგალითში:

- Есть что-нибудь более точное о месте их нахождения?

- Увы - Граф пожал плечами.

**УВЫ**-ს ილოკუციურ ძალას აძლიერებს კინემა მხრების აჩეჩვა, რომელიც თავად არავერბალურ სამეტყველო აქტს წარმოადგენს.

ვ. პროტესტის,, საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამომხატველი რებრეზენტაციის (სამეტყველო აქტის ზმნა — **protest, object**) და ექსპრესივის ნაზავია ქართული შორისდებულთ აპ გამოხატული გამონათქვამი:

ვ1. — მე მინდა ნელიც დავბატიყო,

— აპ, აპ.

მსგავსი მნიშვნელობა აქვს რუსულ შორისდებულს **Ох** ქვემოთყვანილ ნაწყვეტში:

ვ2. - Нет, Катя, из нас мало кто останется в живых...

- Ох!

- У меня Катя, предчувствия очень тяжелые...

- О-ох!

А. Толстой "Простая душа" 1985

შორისდებულის წარმოთქმით ინდივიდი აღიარებს თავის დაშვებულ შეცდომას (სამეტყველო აქტის ზმნა **admit**) აღნიშნულის გამოსახატავად მიმართავენ — ინგლ. **oops, ah, uh-oh (Uh-oh, I think I just locked my keys in the car)**; ქართ.: აპ, უი, უფ იაღლიშ; რუსულ.: **Ах, фу.**

ზ. შორისდებულის გამოყენებით ინდივიდმა შეიძლება აჩვენოს, რომ წინარე გამონათქვამში, ან დისკურსის მონაკვეთში ასახული

პროპოზიციული შინაარსის წვდომას ჭეშმარიტების ძიებისათვის საჭირო გარკვეული ტიპის აზროვნებით პროცედურები ესაჭიროება. რთული მათემატიკური ამოცანის ან გრამატიკული წესის, ინსტრუქციის გაგების, მიხვედრის შემთხვევაში ინდივიდები მიმართავენ: ინგლ. **ahaa, Ah, Oh**; ქართ. აა, აპა, რუს.: **Аа, агаа.**

შორისდებულთ გამოხატული გამონათქვამები ხშირად წარმოადგენენ **ღირექტივებს**. აღნიშნული სამეტყველო აქტის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს კონატიური შორისდებულები ასრულებენ, თუმცა გვხვდებიან შორისდებულის სხვა სემანტიკური ტიპებიც.:

1. დაძახება (**Summon**) — აღნიშნული ტიპის ღირექტივა შეიძლება განხორციელდეს, ერთი მხრივ, დაძახების, ყურადღების მიპყრობის მნიშვნელობის მქონე შორისდებულებით (ინგლ. **hey, look, listen, hello; ahoy, here**; ქართულ.: ჰეი, ეი, აუ, არიქა; რუს.: **ау, алло, эй, караул**), ხოლო მეორე მხრივ, ყურადღების მიპყრობის, დაძახების ფუნქციით ნახმარი ეტიკეტური შორისდებულების მეშვეობით (**Good morning, excuse me, გამარჯობა, უკაცრავად, привет, простите**).

2. ბრძანება (**order, command**) — აღნიშნული სამეტყველო ქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის ბრძანების გამომხატველი კონატიური შორისდებულებით: ა) მოძრაობის ან მოქმედების დაწყების ან შეწყვეტის (ინგლ. **gee up; git along; avast, halt, stop, whoa, steady**; ქართულ.: აჩუ, იარ, სდექ; რუს.: **марш, нноо, тпрру, стоп, полно, брось**); ბ) აღრესანტთან მიახლოების ან მისგან წასვლის (ინგლ. **out, away, off, get lost, go jump in a lake, buzz off** და სხვ. ქართულ.: მომწყდი თავიდან, მომწყდი აქედან, დამეკარგე; რუს.: **вон, прочь, вали**); გ) სხვადასხვა ტიპის მოქმედების შესრულების. მაგ. სიჩუმის დაცვის (ინგლ. **easy, hist, hush, shh**; ქართულ. სუ, სუ, სსს, სუსსს, ჩუ, შუშ; რუსულ.: **тш, тсс, ш-ш, чш, чу**), თუმცა გამონათქვამის ილოკუციური ძალის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს უკანასკნელი შეიძლება მოთხოვნაც იყოს (**demand**) და თხოვნაც (**request, ask**).

3. **თხოვნა** — მაგალითად, შორისდებული **bis** გამოხატავს მაყურებლის / მსმენელის თხოვნას, რომ წარმატებით შესრულებული ნომერი განმეორებით შესრულდეს. თხოვნის გამომხატველი გამონათქვამების შემადგენელი ერთეული და მათი ილოკუციური ძალის განსაზღვრელია მეორადი შორისდებულები: ინგლ.: **please**, რუს.: **пожалуйста** (თხოვნა), **ну, пожалуйста, ради бога** (ხვეწნა). ქართულში გეტყავა თითქმის არ გვხვდება მეტყველებაში. აღნიშნული ფუნქციით

შემხვდა საალერსო სიტყვა შენი ჭირიმე (თხოვნა, ხვეწნა). თხოვნის გამომხატველ დირექტივებად შეიძლება მივიჩნიოთ ღმერთისადმი აღვლენილი თხოვნა: **God bless us! Saints Preserve us!** ღმერთო გვიშველე! ღმერთო დაგვიფარე! უფალო შეგვიწყალო! **господи помилуй, боже сохрани.**

4. დირექტივებს წარმოადგენენ შეგულიანება, წაქეზების გამომხატველი შორისდებულებით წარმოდგენილი გამონათქვამები [სამეტყველო აქტის ზმნა — **urge**]

**Come on! You can do better work than that.**

შეგულიანების გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ ფეხბურთის მოყვარულთა შეძახილი (ხშირად სიმღერით წარმოთქმული) **Here we go!** ქართ. ჰაიდა — რუს. **айда** იხმარება წასასვლელად წაქეზებისას

— აბა, ჰაიდა სახლში!

— **Айда, в лес**

ჰერი — ასევე მოძრაობაში სვლაში გამამხნეველი შეძახილი — აბა სკოლისაკენ, ჰერი, ჰერი!

აბა, ჰე — აბა ჰე! გაფუდგეთ გზას.

5. აკრძალვა (**forbid**)

— აბაბაბა!... მაგას ხელი არ ახლო!

— **Цыц!**

6. კითხვა — (**question**). აღნიშნული სამეტყველო აქტი ინგლისურში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი შორისდებულებით, **sorry, pardon, come again, eh, huh, heh.**

ა. ინდივიდმა ვერ გაიგო ან ვერ გაიგონა ნათქვამი და კომუნიკანტისაგან ითხოვს მის გამეორებას: თავაზიანი ფორმები — **sorry? pardon?** არაოფიციალურ რეგისტრში — **come again! eh? huh?**

ა1. - „**He“s late“**

„**Sorry?“ / pardon? / come again?**

- „**I said he“s late“**

ა2. - **Did you hear what I said?**

- **Eh? Say it again - I wasn“t listening.**

ა3. - **So what do you want to do tonight?**

- **Huh? What did you say?**

ბ. **eh, huh, heh** წარმოადგენენ გამყოფი კითხვის ნაწილს.

- **Going overseas again, eh? / - Want to go see a movie, huh?**

- **So this is Brooklyn, eh? / - Boys left nice and early, heh?**

შორისდებულებს — **huh, eh, heh** — შეიძლება ჰქონდეთ ემოციური მნიშვნელობაც, რაც მთელ გამონათქვამს ექსპრესივად აქცევს:

**They“ve gone away, huh? They didn“t tell me** (გაღიზიანების გამომხატველი). **Janet is leaving her husband. Eh?** (გაოცების გამომხატველი)

ქართულში ჩაკითხვისას მივმართავთ ჰა? ა?-ს

— ჰა? რას ამბობდი?

რუსულში — შორისდებულს **a-**ს

**Никита приложил ладонь к уху:**

**А? Что она сказала?**

**А. Толстой «Мишука Налымов» 1985**

ქართული **ჰა, ა** რუსული **a** გამყოფი კითხვის შემადგენლობაში:

— ცაცო, ერთად წავიდეთ დასასვენებლად, ჰა?

— **Пойдём гулять, а?**

შორისდებულებით გამოხატული გამონათქვამი შეიძლება **დეკლარაციას** წარმოადგენდეს. როგორც ცნობილია, აღნიშნულ შემთხვევაში ადრესანტს აქვს უფლებამოსილება, რომ შეცვალოს არსებული სიტუაცია. დეკლარაციაა შორისდებულებით გამოხატული შემდეგი იმპლიციტური პერფორმატივი — კრიკეტის, ფეხბურთის თამაშისას მსაჯის მიერ წარმოთქმული „**Out!**“. „აუტი“ **аут** დეკლარაციად შეიძლება განვიხილოთ გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ წარმოთქმული „**Out!**“ რუსული „**Вон!**“, რომლებიც აუწყებენ მოსწავლეს, რომ მან უნდა დატოვოს საკლასო ოთახი, მას არა აქვს უფლება დაესწროს გაკვეთილს. დეკლარაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ ოფიცრების მიერ გაცემული ბრძანებები — **Halt**, სდექ, იარ; საზღვაო ოფიცრების ბრძანება განგაშის შესახებ — **полундра!** საგზაო ინსპექტორის მიერ გაცემული ბრძანება **Stop!** სდექ /სტოპ / **стоп** ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერების შესახებ, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში სპეციფიკური ექსტიკულაციაა განმსაზღვრელი.

გარკვეულ კონტექსტში შორისდებულებით გამოხატული გამონათქვამი შეიძლება წარმოადგენდეს **კომისივს**, ან კომისივის შემომყვან დისკურსის მარკერს. აღნიშნული დატვირთვა ქართულსა და რუსულში შეიძლება ჰქონდეს ფიცილის ფორმულებს:

ხვალისთვის ყველაფერს დავასრულებ. დედას გეფიცები!

**Не бойся, я тебя не подведу,**

**Вот те крест, вот те христос**

(თან ახლავს პირვარის გადაწერა)

უარყოფითი კომისიების შემომყვანებად გვევლინებიან შორისდებულებები **Sorry**, და ვაიმე შემდეგ შეთავაზებაზე უარისმთქმელ გამო-ნათქვამებში:

- მიპატივებაზე
- **Will you join us for supper?**
- **Sorry, I can't.**
- პარასკევს ორმოცი გვაქვს, და ძალიან მინდა, რომ მოხვიდე.
- **ვაიმე**, რომ ვერ შევძლებ მოსვლას.

ერთგვარ კომისივად შეიძლება მივიჩნიოთ რაიმე დავალების მი-ცემისას შორისდებულთა გაცემული პასუხი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ერთგვარ ვალდებულებას იღებს თავის თავზე:

- Chief mechanic** - **You can start with the engine**  
**mechanic** - **Mhm.**  
- **Ну давай, приступай к работе**  
- **Ага.**  
— მენიუ შეცვალეთ, თევზეული დაამატეთ.  
— აჰა.

კომისიის და რეპრეზენტაციის ნაერთს წარმოადგენს ბავშვების მიერ ომობანას თამაშისას გამოყენებული შორისდებული „Uncle!“ (=გნებ-დები). ერთი მხრივ, დამარცხებული აღიარებს თავის მარცხს, ხოლო, მე-ორე მხრივ, იგი პირობას იძლევა, რომ „ომს“ არ განაახლებს.

შორისდებულთა რეალიზებულმა გამონათქვამმა — **ექსპრესივმა** შეიძლება გამოხატოს: ა. ინდივიდის ემოციური დამოკიდებულება ან ბ. მორალური მიმართება სამეტყველო ხდომილების ამა თუ იმ ერთეულის მიმართ. სამივე ენაში შორისდებულთა გამოხატული გამო-ნათქვამი-ექსპრესივები საკმაოდ მრავალრიცხოვანია — ერთი მხრივ, ისინი არიან ინდივიდის ემოციური მდგომარეობის, ინდივიდის მიერ სამყაროს ემოციური აღქმის მარჩვენებელი გამონათქვამები, ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდის სოციალური ქცევის მარკერები (მისაღება-გამომშვიდობების ფორმულები, სამადლობლო სიტყვები, საბოდიშო სიტყვები). ზოგ შემთხვევაში ემოცია და მორალი შერწყმულია, მაგა-ლითად, თანაგრძობის გამოხატვისას ან კომპლიმენტის გაკეთებისას ემოციური დამოკიდებულება (თუმცა იგი შეიძლება არ იყოს გულ-წრფელი) და სოლიდარობის გამოხატვის აუცილებლობა თანადროუ-ლად არის რეალიზებული.

ლინგვისტურ ლიტერატურაში განასხვავებენ ორი ტიპის კომ-

პლიმენტს — კომპლიმენტ-შემჩნევას, / აღნიშვნას (**noticing**); მას მნიშვნელოვანი ფატიკური დატვირთვა აქვს კომუნიკაციისას. და კომ-პლიმენტებს, რომლებიც გამოხატავენ გულწრფელ აღფრთოვანებას, შექებას (ჰეთჩი, 1994).

შორისდებული ხშირად კომპლიმენტ-შემჩნევის გამოხატველი გამონათქვამის შემომყვანი მარკერია.

**Wow! You look great!**

**ვაჰ**, დღეს რა ლამაზი ხარ, აბა, შემოტრიალდი!

**Ах, как красиво, тебе очень подходит!**

**Ба, да ты не шутишь!**

საყურადღებოა, რომ კომპლიმენტ-შემჩნევას ხშირად მოსდევს კომპლიმენტის უარყოფა; ინდივიდი შეიძლება არ დაეთანხმოს მის მიმართ გაკეთებულ კომპლიმენტს. აღნიშნულ შემთხვევაშიც ვხვდებით შორისდებულებს.

**A: Wow! You Look great!**

**B: Ohh nooo!**

ა: ვაჰ, დღეს რა ლამაზი ხარ, აბა შემოტრიალდი.

ბ: ოხ, კარგი რა, ნუ დამცინი.

**A: Ах, как красиво, тебе очень подходит!**

**Б: Ах, да брось! Это ж мое старое платье!**

კომპლიმენტს შეიძლება წარმოადგენდეს ჭამის დროს წარმო-თქმული **Yum!** (არაოფიციალური რეგისტრი). იგი შეიძლება როგორც კომპლიმენტის პირველ ტიპს (კომპლიმენტი-შემჩნევა), ასევე მეორე ტიპს განეკუთვნებოდეს.

კომპლიმენტის მეორე ტიპის ნიმუშებია მაყურებლის / მსმენე-ლის მიერ წარმოთქმული **Bravo (Brava — ქალის მიმართ)**. თუმცა **Bravo**-ს მეშვეობით შექება შეიძლება ჩვეულებრივი ყოფითი ხასიათის საუბრის დროსაც გამოვხატოთ:

**Lola said: "I put it in a poem for Professor Riley's class. I wrote: I awa-ken to the scorching heat and wonder where the days are going/ But oh, how blue is that August sky".**

**"Bravo!" Chris said.**

**M. Robinson "Oh" 1988 : 106**

თუმცა **Bravo** შეიძლება არაპირდაპირ სამეტყველო აქტსაც წარმოადგენდეს, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ირონიულ დამოკიდე-ბულებას გამოვხატავთ.

- Ну что, - сказал Аггей, точно во сне нагибаясь к ее раздвинутым губам, - Душенька моя...

Когда он так сказал, Машенька охватила его шею и, закрыв глаза, поцеловала холодными губами.

- Вот и поцеловались, - со вздохом сказала она.

- Bravo! - ответил Синицын, не оборачиваясь...

А. Толстой «Мечтатель» (Аггей Коровин) 1985: 45

მეორე ტიპის კომპლიმენტს მიეკუთვნება აგრეთვე მასწავლებლის ან მაგალითად მწვრთნელის მიერ წარმოთქმული Well done! Молодец! ყოჩაღ! კომპლიმენტებს წარმოადგენენ აფერუმ! ბარაქალა! ქართულში ნახმარი მაღაღეც! უმეტესწილად. ირონიული დატივრთვის მატარებელია.

ამრიგად, ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ შორისდებულთა გამოხატული გამონათქვამი შეიძლება ყველა ტიპის სამეტყველო აქტს წარმოადგენდეს. დიდი სიხშირით გვხვდება ჰიბრიდული სამეტყველო აქტები. ჰიბრიდული სამეტყველო აქტის ერთ-ერთი წევრი უმეტესწილად ექსპრესივია.

ლიტერატურა

**ოსტინი, 1965** — Austin J. L. How to Do Things with Words. N-Y. Oxford University Press, 1965.

**ფრეიზერი, 1984** — Fraser B., The Domain of Pragmatics. In: Language and Communication. London-New-York. Longman, 1984.

**ჰეჩი, 1994** — Hatch E., Discourse and Language Education. Cambridge. Cambridge University Press, 1994.

**სერლი, 1969** — Searle J. R., Speech acts. An essay in the philosophy of language. CUP., Cambridge 1969.

**სერლი, 1975** — Searle J. R., Indirect speech acts. In "Syntax and Semantics". vol. 3. Speech Acts, Cole P., Morgan J. L (eds.) Academic press. New York, 1975.

NINO DARASELIA

## Interjections as Speech Acts

### Summary

The paper focuses on one of the discursual functions of an interjection that of an utterance. Utterances expressed by means of interjections are analyzed from the standpoint of speech act theory. It has been stated that interjections as utterances can represent all the speech acts:

1. Representatives, by uttering an interjection the individual may accept, confirm, agree with, object to, doubt, reject etc the proposition presented in the previous utterance.

2. Directives expressed by interjections are quite versatile - among them are summonses, requests, commands, questions, forbiddings, urges etc.

3. The interjections as utterances when uttered by authorized speakers (trainers, referees, teachers, officers etc.) can serve as declarations.

4. In certain contexts interjections can serve as commissives, or as discourse markers introducing commissives. In the three languages there are instances of negative commissives expressed by interjections. To some extent interjectional utterances showing the acceptance of an instruction by the addressee can be considered to be commissives.

5. Expressives realized by interjections can express both moral and emotional attitudes towards some earlier action.

In the paper special emphasis is placed upon two types of compliment realized by interjections: (a) a noticing (which is an important piece of phatic behaviour); (b) admiration or praise felt at a particular time.

Hybrid speech acts are quite frequent in interjections. In many cases one of the members of a hybrid is an expressive.

## სარჩევი

ლ. ავალიანი — ალაფი, ამალი და აქაქი სიტყვათა ისტორიი სათვის .....	3
ც. ახვლედიანი — რომანულ ენათა კვლევის პრინციპები დიაქრონიული ფონოტაქტიკის თეორიის მიხედვით .....	8
დ. ბახტაძე — ლინგვისტიკა და უცხო ენის დიდაქტიკა. ტიპოლოგიური ძიებანი .....	14
ქ. გაბუნია — ენობრივი სიტუაციის სოციოლინგვისტური კატეგორია და ენობრივი პოლიტიკა .....	28
ს. გელაძე — სპლინის მეტაფორა ბოდლერთან .....	34
ნ. გელდიაშვილი — პრედიკატული განსაზღვრების საკითხისათვის ახალ ქართულში .....	41
ნ. გელდიაშვილი — სტილური თავისებურებანი ილია ჭავ- ჭავაძის შემოქმედებაში .....	46
ი. გველესიანი — ცნება „სამკვიდროს“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართულსა და რუსულ სამართალში .....	53
ი. გოშხეტელიანი — კულტურული იმპლიკაციები ამერიკელი ინდიელების მითებსა და ლეგენდებში .....	58
ე. დადიანი — ბგერის დისტრიბუციისათვის მეგრულში .....	65
ნ. დარასელიანი — შორისდებული როგორც სამეტყველო აქტი ..	75
ი. დემეტრაძე — „სახის“ შენარჩუნების სტრატეგიები შეკამათებისა და უარის თქმის შემთხვევებში .....	86
ი. დიაკონიძე — წინასწარმეტყველური ნიშნების ამსახველი ფორმები ფოლკლორში .....	99
თ. ზვიადაძე — დიალექტური ლექსიკა ოტია იოსელიანის თხზულებებში .....	111

## Contents

L. A v a l i a n i - Towards the History of the Words alapi, akaki, amali .....	7
Ts. A k h v l e d i a n i - Some Principles of Investigating Romance Languages from the Standpoint of Diachronic Phonotactics .....	12
D. B a k h t a d z e - Linguistics and Foreign Language Didactics .....	27
K. G a b u n i a - The Sociolinguistic Category of Language Situation and Language Policy .....	33
S. G e l a d z e - The Metaphor of 'Spleen' in Ch. Baudelaire's Works .....	39
N. G e l d i a s h v i l i - Towards the Issue of Predicative Attributes in New Georgian .....	45
N. G e l d i a s h v i l i - Stylistic Peculiarities of Ilia Chavchavadze's Works .....	52
I. G v e l e s i a n i - Terms Denoting "Estate" in Georgian and Russian Laws .....	57
I. G o s h k h e t e l i a n i - Cultural Implications in the American Indian Legends and Myths .....	64
E. D a d i a n i - Towards the Distribution of the Sound ə in Megrelian .....	74
N. D a r a s e l i a - Interjections as Speech Acts .....	85
I. D e m e t r a d z e - Face-Saving Strategies in Cases of Disagreement and Refusal .....	98
I. D i a k o n i d z e - Folklore Forms Depicting Prophetic Signs .....	110
T. Z v i a d a d z e - Dialectal Lexis in Otia Ioseliani's Works .....	121
R. K a v t i a s h v i l i - Parenthetical Constructions in English Scientific Prose .....	127
I. K i k v i d z e - The Situational Cliché as an Element of Translation .....	131
M. K i n t s u r a s h v i l i - Intertextuality as a Global Text Category .....	137